



საქართველო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
გამგეობა



2800

ლანჩხუთი მ. კოსტავას ქ. №37

ტელ: 0 494 22 30 10

N 2702
24/06/2016

2702-09-2-201606241453



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ გიორგი ხელაძეს

ბატონო გიორგი,

გეგზავნებათ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის მიერ მომზადებული დამატებითი განმარტებითი ბარათი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის თაობაზე, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

გთხოვთ განიხილოთ.

ზაზა ურუშაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებელი

ხელმძღვანელობა

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო
და მუნიციპალური შესყიდვების სამსახური

2800

ლანჩხუთი მ. კოსტავას ქ. №37

ტელ: 0 494 22 30 14

N 791
24/06/2016

791-09-3-201606241306



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის
ადმინისტრაციული სამსახურის უფროსს
ქალბატონ მაგული კუნჭულიას
საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური
შესყიდვების სამსახურის

დამატებითი განმარტებითი ბარათი

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 27 მაისის N964 განკარგულებით სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით მუნიციპალიტეტს გამოეყო 850000 ლარი ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის წერილის თანახმად გზებისა და ხიდების რეაბილიტაციის სამუშაოებზე მიიმართა 351156 ლარი და ნაპირსამაგრის მოწყობის სამუშაოებზე 498844 ლარი.

ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის დამატებითი წერილით დაზუსტებული იქნა პროექტები და გზებისა და ხიდების რეაბილიტაციის სამუშაოებზე განისაზღვრა 307209 ლარი, ნაპირსამაგრის მოწყობის სამუშაოებზე 542791 ლარი.


განხილული იქნა ა(ა)იპ უფასო სასადილოს წერილი და მიზანშეწონილად ჩაითვალა რომ, სუბსიდიის მუხლი შემცირდეს 200 ლარით და გაიზარდოს არაფინანსური აქტივების მუხლი 200 ლარით, ა(ა)იპ სპორტული ცენტრის წერილის საფუძველზე შემცირდა სხვა ხარჯების მუხლიდან 3200 ლარი და შესაბამისად გაიზარდოს სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლი 3200 ლარი.

აღნიშნული ცვლილებების ბიუჯეტში ასახვის მიზნით მიზანშეწონილია დაიწყოს ბიუჯეტში ადმინისტრაციული წარმოება.

პატივისცემით,

როლანდი ლაშხია

სამსახურის უფროსი

A handwritten signature in blue ink, consisting of stylized Georgian letters, positioned over the text 'სამსახურის უფროსი'.

საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახური